

ტექნოლოგიური პროგრესი, სოციალური და პედაგოგიური ცვლილებები

მაია ლევანიძე

საკვანძო სიტყვები: საავტორო კინო, მასობრივი აზროვნება, ვიზუალური კომუნიკაცია, სამომხმარებლო საზოგადოება

XIX საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო ახალი მასობრივი ხელოვნების ჩამოყალიბებას, ხელოვნების, რომელმაც რეალობასთან მიახლოებული მოძრავი გამოსახულება შესთავაზა მაყურებელს. აქტიური მონტაჟური თხრობის სტილით კინომ თავიდანვე დიდი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის საზოგადოების მენტალური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ახალი ხელოვნება აქტიურად იზიდავდა რა კინოთეატრებში მაყურებელს, სულ უფრო მეტად აშინებდა საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფილოსოფოსებსა და ხელოვნების მკვლევრებს. კინო ერთგვარად ანადგურებდა მოაზროვნე ადამიანებს და თავისი ენობრივი სისტემის გამდიდრების, განვითარების პარალელურად სულ უფრო მეტად ქმნიდა გავლენის ახალ მექანიზმებს და ხელს უწყობდა მასობრივი მაყურებლის ჩამოყალიბებას. ცვლიდა და „მართავდა“ მათ ყოველდღიურ რუტინას.

კინოხელოვნების ენობრივი სისტემაზე დაყრდნობით, 1960-1970-იანი წლებიდან იქმნება ვიზუალური კომუნიკაციების ახალი ფორმები-ტელევიზია, მედიახელოვნება, დიგიტალური ხელოვნება, ნეტ არტი და სხვა, რომლებიც უფრო აფართოებს სამაყურებლო არეალს და სამყაროდან „გლობალურ სოფელს“ ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ აუდიოვიზუალური კულტურის აქტიური გავლენით ყალიბდება სამომხმარებლო საზოგადოება.

როგორ შეხვდა მე-20 საუკუნის დასაწყისში საზოგადოება ახალ ხელოვნებას? რა საფრთხეები დაინახა იმ პერიოდის მოაზროვნეებმა კინოს სპეციფიკურ ნიშნებსა და მახასიათებლებში და რამდენად რეალური აღმოჩნდა მათი ეს შიშები, ეჭვები, მოსაზრებები თანამედროვე ხელოვნებასთან მიმართებაში. ეს შეკითხვებია ის, რაზედაც პასუხის გაცემას ვცდილობ ისეთი ავტორების ნამუშევრებზე დაყრდნობით, როგორებიც არიან: პოლ-ვალერი, ვალტერ ბენიამინი, მარშალ მაკლუენი, ჟან ბოდრიარი და სხვები.

XIX საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ტექნიკურმა პროგრესმა, ხელოვნებასა და საზოგადოებაში მოიტანა მსოფლმხედველობრივი ცვლილებები, დაიქარდა და გარდაიქმნა ცხოვრების ჩვეული რიტმი და რუტინა. ტექნიკურმა პროგრესმა შესაძლებელი გახდა ახალი ხელოვნების, კინემატოგრაფის წარმოშობაც, რომელიც მაყურებელს სთავაზობდა მისთვის ძალიან ნაცნობ, რეალურ გარემოსთან მიახლოებულ ვიზუალურ თხრობას. მრავალფეროვანმა ცვლილებებმა ადამიანებში გააჩინა, ერთი მხრივ, აღფრთოვანება, მეორე მხრივ კი, შიში.

საუკუნის დასაწყისში, ფილოსოფოსი პოლ ვალერი გამოთქვამდა შემოფთვინებას საზოგადოებასა და კულტურაზე ტექნოლოგიური პროგრესის მავნე გავ-

ლენის თაობაზე, ვინაიდან თვლიდა, რომ, შესაძლოა, მან მოახდინოს თანამედროვე ხელოვნების არსობრივი ცვლილება, ნაწარმოების შინაარსის დაქვემდებარება, რაც შემდგომ გამოიწვევს საავტორო კონცეფციის გარეშე დარჩენილი ცარიელი ფორმის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ პოლ ვალერი ერთგვარად წინასწარმეტყველებდა იმ პროცესებს, რომლებიც ბოლო პერიოდის თანამედროვე კულტურაში, განსაკუთრებით მედიასა და კინოხელოვნებაში განვითარდა, როდესაც ციფრული ტექნოლოგიების გავლენით შინაარსი გამარტივდა, ხოლო გამოსახულება სანახაობრივად რთული და მრავალფეროვანი გახდა.

პოლ ვალერის მოსაზრებებს ეხმიანება ხოსე ორტეგა ი გასეტას ნაშრომი, „ხელოვნების დეჰუმანიზა-

ცია“ და ვალტერ ბენიამინის ნაშრომი, „ხე-ლოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუქციულობის ეპოქაში - ისტორიული მცნების შესახებ“. ორივე ავტორი საუბრობს ერთი პრობლემის სხვადასხვა ასპექტზე. ხოსე ორტეგა ი გასეტი უკვე 1925 წელს პროგნოზირებს იმ პროცესების დაწყებას, რომელთა ვალტერ ბენიამინი 1936 წელს აფიქსირებს, ავრცობს და აანალიზებს.

ორტეგა ი გასეტი საუბრობს შემოქმედებითი პროცესიდან ადამიანური ფაქტორის ამოღების პერსპექტივაზე, რომელიც იწვევს შინაარსის გაღარიბებას და ფორმის გამდიდრებას. ფორმის შინაარსისგან გამოშინგვა ხელს უწყობს მასობრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. საუკუნის დასაწყისში, ტექნიკური პროგრესის გავლენით ხელოვნება უკვე ორიენტირებულია ორი ტიპის ახალ ადამიანის ფორმირებაზე: პირველი ტიპი არის მოაზროვნე ადამიანი, რომელიც დაჯილდოებულია განსაკუთრებული უნარებით და აქვს მზაობა, შესაძლებლობა თუნდაც მისთვის „მიუწვდომელი“ რთული ტექსტის წაკითხვის, აღქმა-გააზრებისა და „მასობრივი მაყურებელი“, რომელიც არ განეკუთვნება, კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკურ კლასს, თვითკმარია და ხელმძღვანელობს მხოლოდ მისი არსებობისთვის აუცილებელი „კანონებით“. „მასობრივი მაყურებელი“ კრიტიკული ანალიზის გარეშე იღებს ცივილიზაციის ნებისმიერ მონაპოვარს, როგორც საკუთრებას, მასის სიძლიერის შეგრძნებით დაუფიქრებლად გადადის აგრესიული ქმედებისკენ და უარყოფს ყველაფერს, რაც მისთვის უცხოა. საზოგადოების ამგვარად დაყოფის ფონზე, გასეტი თავის ნაშრომში საუბრობს მასობრივი აზროვნების განვითარების შედეგებსა და იმ საშიშროებაზე, რომელიც, შესაძლოა, გაჩნდეს კაცობრიობის განვითარების შემდეგ ეტაპებზე, რაც რეალურად ხორციელდება კიდევ ფაშიზმის, ნაციზმისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბების პერიოდში. როდესაც მასისთვის ინდივიდი კარგავს ყოველგვარ ღირებულებას, გაუფასურების ეს პროცესი უფრო მწვავედება ტოტალიტარული რეჟიმების დროს. მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ნაცისტების ქმედება საკონცენტრაციო ბანაკებში, როდესაც ისინი ადამიანის ტყავისაგან ამზადებდნენ საყოფაცხოვრებო ნივ-

თებს. გასეტის „მასობრივი ადამიანი“ დროსთან ერთად ტრანსფორმირდება და საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ვიზუალური მედიუმების აქტიური გავლენით, სულ უფრო მეტად აგრესიულად იპყრობს სივრცეს. იმისთვის, რომ ინდივიდუალურ აზროვნებაზე არ გაიმარჯვოს მასის აზროვნებამ, კაცობრიობა რომ გადაურჩეს აგრესიული მასის ჩამოყალიბებას, გასეტი ემხრობა მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ მოდერნისტული ხელოვნების განვითარებას (კუბიზმი, ექსპრესიონიზმი, ავანგარდი, დადაიზმი), ვინაიდან მიიჩნევს, რომ თითოეული მათგანის თვითმყოფადი სტილი, აზროვნების ფორმა გარდაქმნის მასობრივ მაყურებელს. სწორედ ასეთმა ხელოვნებამ უნდა შეაჩვიოს მასობრივი ადამიანი მასშტაბურ აზროვნებას, გახადოს ჰუმანური და გადაარჩიოს მხოლოდ პირდაპირ მოწოდებული შინაარსის აღქმისგან. ფაქტია, რომ გასეტის ეს მოსაზრება მხოლოდ მიამიტურ სურვილად დარჩა. „ფრანგული ავანგარდი“ ცდილობდა მასობრივი მაყურებლის მაღლა დამდგარიყო და მონტაჟურ-რიტმული თხრობის ფორმისგან ელიტარული ხელოვნება შეექმნა, მაგრამ უშედეგოდ, საზოგადოებამ ის უარყო და ხელოვნებები „აიძულა, უარი ეთქვათ „ელიტარული აზროვნების ფორმებზე“.

მისგან განსხვავებით რუსულმა ავანგარდმა, წყვეტილი, ფრაგმენტული აზროვნების ფორმები გამოიყენა ახალი ადამიანის შესაქმნელად. ახალი საბჭოთა ქვეყანა, ახალი იდეოლოგია, ახალი ადამიანი. „ადამიანი ავტომატი“ (ანატოლი ლუნაჩარსკი¹), რომელსაც კომუნიზმის, სოციალისტური იდეები „მუშტით ჩაუტენეს“ (სერგეი ეიზენშტეინი²)

აზროვნებაში. საბჭოთა დიქტატურას სჭირდებოდა მასობრივი აზროვნება, მასობრივი საზოგადოება და, შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოო ჯამში, მან შეძლო კიდევ იდეოლოგიზირებული საბჭოთა ადამიანის „კონსტრუირება“.

სერგეი ეიზენშტეინის, ძიგა ვერტოვის, ვსევოლოდ პუდოვკინის და სხვა რუსი ავანგარდისტების მიერ შემუშავებული ენობრივი სტრუქტურა 1920-იან წლებში კიდევ ერთხელ ცვლის ადამიანის აზროვნების ფორმას. კიდევ ერთხელ, რადგან ცვლილებები, თუნდაც სპონტანური, იწყება XIX საუკუნის ბოლოს, კაპუცი-

1 Луначарский, О воспитании.

2 Эйзенштейн, Монтаж, 1964.

ნების ბულვარზე ფილმის „მატარებლის შემოსვლა“ ჩვენებით. სწორედ აქ პირველად შეეჯახა მაყურებელი რეალიზმის, სინამდვილის ანალოგიურ, მოძრავ ანარეკლს იმ მასშტაბით, რომ შიშით შეპყრობილმა დატოვა კინოდარბაზი. გაჩნდა რეალობის „გარე დამკვირვებლის პოზიციიდან“ დანახვის სრულად ახლებური შესაძლებლობა.

საბჭოთა ადამიანისგან განსხვავებით, ევროპული კინო აცალიბებდა მასობრივი აზროვნების განსხვავებულ ფორმებს. 1936 წელს ვალტერ ბენიამინი ნაშრომში „ხელოვნების ნამუშევარი მისი ტექნიკური რეპროდუქციების ეპოქაში“ აღწერს სიტუაციას, როდესაც ტექნიკური რეპროდუქციის საშუალებები იწყებენ ხელოვნების არსებული ნამუშევრების აქტიურ ტირაჟირებასა და პროფანირებას (გროისი³), ცვლიან აღქმის პროცესს და ამკვიდრებენ მის ახალ სტატუსს საზოგადოებაში.

ვალტერ ბენიამინი თავის ნაშრომშიც გამოყოფს ამ პროცესის დადებითსა და უარყოფით მხარეებს. ერთი მხრივ, ხელოვნების ნიმუშის ტირაჟირებით, ის გამოვიდა ლოკალური სივრცეებიდან და ხელმისაწვდომი გახდა მასისთვის. ხელოვნების ნიმუშის „მრავალჯერადი ტირაჟირების დროს“, ბენიამინის აზრით, დაიკარგა ჯადოსნური, უნიკალური „აურა“, ატმოსფერო, რომელიც ინდივიდუალურ გარემოსა და აღქმას ახლდა თან. „აურაში“ ბენიამინი გულისხმობდა მაყურებლის დასწრებას, დროის ფაქტორს, უნიკალურობასა და ნამდვილობას. ხელოვნების ნიმუშმა დაკარგა ექსკლუზიურობა და ინდივიდუალობა. ესა თუ ის ნივთი მჭიდროდა კავშირში იმ გარემოსთან, რომელშიც ის იქმნება, რა წამს იკარგება ეს მოცემულობა, ქრება „აურაც“. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, განსაკუთრებით აქტუალურია ხდება ბენიამინის ეს მოსაზრება. არაერთი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხელოვნების ნაწარმოების ტირაჟირება ინტერნეტით, სოციალური მედიით იწვევს ხელოვნების ნიმუშის „პროფანირებას“, გაუფასურებას.

ბენიამინი გამოყოფს ხელოვნების ნიმუშის ორ ღირებულებას: საკულტოს და საგამოფენოს. საკულტო დაკავშირებულია ნაწარმოების სარიტუალო ფუნქციასთან, როცა ის იქცევა თაყვანისცემის სიმბოლოდ. ხელოვნება უფრო და უფრო ორიენტირდება მასობ-

რივ მაყურებელზე და არა ხელოვნების რიტუალიზაციამზე. ხელოვნება ხდება უფრო ხელმისაწვდომი, ამავდროულად, იშლება საზღვრები ნამდვილსა და მის ასლს შორის. ფაქტობრივად, ბენიამინი ტექნიკურ პროგრესს ხელოვნების ელიტარული, „მოაზროვნე“ ფორმების რეგრესად განიხილავს.

ბენიამინი აკრიტიკებს საზოგადოებას, რომელიც ვერ ახერხებდა გაეაზრებინა ის ფატალური შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა (და კიდევ მოჰყვა) კინოსა და ფოტოგრაფიის წარმოშობით დაწყებულ პროცესს მასობრივი ხელოვნების ჩამოყალიბების მიმართულებით. კოლექტიური ჭვრეტა, კოლექტიური დაკვირვება ხელოვნების ნიმუშზე აცალიბებდა აზროვნების შესაბამის ფორმებს.

1960-იან წლებში მასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში ლოგიკური იყო კულტურის ერთგვარი დაყოფა ელიტარულ და მასობრივ ხელოვნებად. კინოხელოვნებაშიც ყალიბდება ორი ძირითადი მიმართულება: საავტორო კინო, რომელიც ქმნის ინდივიდუალურ სტილისტურ ნიშანს საავტორო კონცეფციის, მსოფლმხედველობისა და მსოფლალქმის, სადაც ტექნოლოგიები (ტრეველინგები, კამერის აქტიური მოძრაობა, „თანდასწრების ეფექტი“, „წვრილმანების ბუნტი“) ავტორებს ენობრივი სისტემის დახვეწის, განვითარების შესაძლებლობებს აძლევდა და მასობრივი კინო, რომელიც ორიენტირებული იყო სანახაობაზე, სიუჟეტის ფაბულურ განვითარებასა და ეფექტური გამომსახველობითი რიგის შექმნაზე.

1960-იანი წლების კინო საზოგადოების განვითარებაზე იმდენად ახდენდა გავლენას, რომ აქტიურად ამკვიდრებდა საზოგადოებაში მოდური ტენდენციების, ცხოვრების, ჩაცმის სტილს, ურთიერთობების ფორმას და ასე შემდეგ. ვიზუალური კულტურის გავლენები უფრო აქტიური ხდება ახალი მედიატექნოლოგიების, ტელევიზიის წარმოშობით.

1964 წელს გამოდის მარშალ მაკლუენის „მედიის გაგება“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ახალი ტექნოლოგიები არ არის მხოლოდ ის, რასაც ადამიანები მარტივი კომუნიკაციისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ. ისინი მათი მეშვეობით საკუთარ თავს იგონებენ, ქმნიან. ტელევიზიამ შეცვალა ადამიანის რეალობის აღქმის პროცესი, გახადა ის უფრო მოზა-

3 Гройс, Истина, 2016.

იკური, დანაწევრებული, ვიდრე ადრე. მაკლუენი გამოყოფს „ცივი“ და „ცხელი“ მედიის, კომუნიკაციის ფორმებს. „ცივს“ აკუთვნებს ტელევიზიას, რომელიც მაყურებლისგან მხოლოდ მიწოდებული ინფორმაციის პირდაპირ მიღებას, გათავისებას მოითხოვს და არა მის ანალიზს, ხოლო „ცხელს“ მიაკუთვნებს კინოს, რომელიც ორიენტირებულია ამროვნებაზე. „ცივი“ კომუნიკაციები მისაღება მასისთვის, ვინაიდან ის ადამიანს უქმნის თანადასწრების მსოფლიო პროცესებში თანამონაწილეობის ილუზიას, ამიტომ მისი როლი მასობრივი ამროვნების გამოყალიბებაში, მსოფლიოსგან „გლობალური სოფლის“ შექმნაში ძალიან დიდია. მედიაკომუნიკაციებმა ერთგვარად გაშალა ჩვენი საინფორმაციო ველის მასშტაბი და, ამავდროულად, შეამჭიდროვა სამყარო, ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი ინფორმაცია, მაგრამ „მოაჩვენა“ ამროვნება. შეიძლება ითქვას, რომ მაკლუენის მოსაზრებები აქტუალური რჩება დღესაც, მაშინ, როცა სოციალური მედიის არსებობის პირობებში, „ფეისბუქის“ პირადი სივრცე მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შექმნას თავისი იდეალური ვირტუალური „მე“, რომელსაც თითქმის არაფერი აღარ აქვს საერთო ჭეშმარიტ „მესთან“.

სატელევიზიო კომუნიკაციის ფორმაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რეკლამა, როგორც ცხოვრებისეული მოდელების, მასობრივი ამროვნების გამოყალიბების ძირითადი და ეფექტური საშუალება. რეკლამა, როგორც ადამიანის ყოველდღიური რუტინული ყოფის ორგანული, შემადგენელი ნაწილი 1960-იანი წლებიდან ხელს უწყობს ახალი საზოგადოების

გამოყალიბებას, საზოგადოებისა, რომელიც ორიენტირებულია მატერიალურ კეთილდღეობაზე. 1970-იან წლებში ჟან ბოდრიარმა ეჭვის ქვეშ დააყენა რეალური სამყაროს არსებობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ თანამედროვე სამყარო მედიის პირმშოა. სამყარო არის ისეთი, როგორსაც გვთავაზობს მედიაკომუნიკაციები, აუდიოვიზუალური ფორმები, რომლებიც ქმნიან სამყაროს სიმულაციურ რეალობას.

პოსტმოდერნისტული და პოსტპოსტმოდერნული, დიგიტალური ხელოვნების განვითარების პერიოდი მაჩვენებელი ხდება იმ ტენდენციების, ტექნიკური პროგრესის განვითარების, შედეგების, რომელთა შესახებაც თავის დროზე საუბრობდნენ პოლ ვალერი, ვალტერ ბენიამინი, ხოსე ორტეგა ი გასეტი და სხვა ავტორები. ხელოვნების დიგიტალიზაციამ, ერთი მხრივ, მოიტანა „მემლაპრეობის დიდი შესაძლებლობები“ არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ დოკუმენტურ კინოშიც, სადაც სიმულაციური რეალობის შექმნით მაყურებელს უჩნდება წარსულის ყოფის, რეალობის ავთენტურობის, ქრონიკის ნახვის განცდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ხელოვნებას დაუკარგა ავტორისეული ინდივიდუალური ხედვა და ხელწერა. ჟან ბოდრიარის სიმულაკრუმებიც, სარკეში არეკლილი სიმულაციური რეალობაა, რომლისაც უფრო გვჯერა, ვიდრე რეალობისა, „სარკეში“ არეკლილი გამოსახულების მიღმა სრული სიცარიელეა, ემოციებისგან დაცლილი, რუტინული ყოფა, რომელშიც მოთხოვნილებებს, სურვილებს, გრძნობებსაც კი მართავს ციფრული ხელოვნება და კომუნიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვალერი პ., აზრები, თბ., 2014.
- ორტეგა ი გასეტი ხ., მასების ამბოხი, თბ., 2024.
- ბენიამინი ვ., ხელოვნების ნამუშევარი მისი ტექნიკური რეპროდუცირების ეპოქაში. თბ., 2013.
- McLuhan, Marshall, Understanding Media: The Extensions of Man, London and New York, 1994.
- Луначарский А., О воспитании человека нового общества. <http://lunacharsky.newgod.su/articles/o-vospitanii-cheloveka-novogo-obshchestva/>
- Эйзенштейн С., Монтаж аттракционов, 1964. http://az.lib.ru/e/ejzenshtejn_s_m/text_1923_montazh.shtml 21/07/2025
- Гройс Б., Истина искусства, 2016. <https://s357a.blogspot.com/2016/03/blog-post.html> 21/07/2025

TECHNICAL PROGRESS, SOCIETY, AND CINEMA

Maia Levanidze

Keywords: *author's cinema, mass thinking, visual communication, consumer society*

The rapid development of technology in the late 19th and early 20th centuries contributed to the emergence of a new mass art that offered the viewer a moving image close to reality. Thanks to its active editing narrative style, cinema had a profound influence on the formation of the mental makeup of 20th-century society from the very beginning. The new art, which actively attracted viewers to movie theaters, increasingly frightened philosophers and art historians at the beginning of the century. Cinema, as if destroying thinking people and enriching and developing its language system, increasingly created new mechanisms of influence and contributed to the formation of a mass audience. It changed and “managed” its everyday life.

Based on the language system of film art, new forms of visual communication have been created since the 1960s and 1970s: television, media art, digital art, network art, etc. This further expands the viewing area and creates a “global village” worldwide. It can be said that the consumer society is formed through the active influence of audiovisual culture.

How did society in the early 20th century react to the new art? What threats did the thinkers of that period see in the specific features and characteristics of cinema, and how real were their fears, doubts, and opinions towards modern art? I attempt to answer these questions by drawing on the writings of such authors as Paul Valéry, Walter Benjamin, Marshall McLuhan, Jean Baudrillard, and others.

In the late 19th and early 20th centuries, technological progress brought worldview changes to art and society, accelerating and transforming the usual rhythm and routine of life. Technical progress also made possible the emergence of a new art form, cinema, which offered the viewer a visual narrative familiar to him and close to the real situation. Various changes caused excitement on the one hand and fear on the other.

At the beginning of the century, philosopher Paul Valéry expressed his concern about the detrimental impact of technological progress on society and culture, believing that it could fundamentally change modern art by subordinating the content of the work, which would then lead to the development of an empty form devoid of authorial concept. Paul Valéry, in a way, predicted the processes that have recently developed in contemporary culture, especially in media and film art. When, under the influence of digital technologies, content has become simplified, and images have become incredibly complex and diverse.

Paul Valéry's ideas are reflected in *The Dehumanization of Art* by José Ortega y Gasset and Walter Ben-

jamin's *The Artistic Model in the Age of Its Technical Reproducibility—On the Historical Commandment*. Both speak of different aspects of the same problem. As early as 1925, José Ortega y Gasset predicted the beginning of the processes that Walter Benjamin recorded, disseminated, and analyzed in 1936.

Ortega y Gasset speaks of the prospect of excluding the human factor from the creative process, which leads to the impoverishment of content and the enrichment of form. The separation of form from content favors the formation of mass thinking. As early as the beginning of the century, under the influence of technical progress, art was oriented towards the formation of two new types of people: the first, the thinking man endowed with special skills and having the desire and ability to read, perceive and understand even complex, inaccessible texts, and the mass spectator, who does not belong to any socio-economic class, self-sufficient and guided only by the laws necessary for his existence. The *mass man* accepts any achievement of civilization as his own without critical analysis. Sensing the power of the crowd, he moves recklessly to aggressive action and re-

jects everything alien to him. Against the background of such a split in society, Gasset in his work speaks of the consequences of the development of mass thinking and of the danger that may arise in the next stages of humanity's development, which is realized in the formation of Fascism, Nazism and Soviet totalitarianism.

When an individual loses all value for the masses, this process of devaluation is exacerbated in totalitarian regimes. For example, one can recall the actions of the Nazis in concentration camps when they made household items out of human skin. Gasset's mass man is transformed over time and at the present stage of society's development under the active influence of visual media is taking over space more and more aggressively. To prevent the predominance of mass thinking over individual and to save humanity from the formation of an aggressive mass, Gasset advocates the development of modernist art that emerged in the early 20th century (cubism, expressionism, avant-garde, Dadaism), as he believes that the unique style and form of thinking of each of them will transform the mass audience. This is the kind of art that should accustom the mass audience to large-scale thinking, make them humane, and get rid of the perception of only directly presented content. The fact is that this view of Gasset remained only a mimetic wish.

Avant-garde tried to rise above the mass audience and create an elitist art form out of montage and rhythmic narrative form, but in vain, society rejected it and forced artists to abandon elitist forms of thinking.

On the contrary, Russian avant-garde used discontinuous, fragmentary forms of thinking to create a new man. New Soviet country, new ideology, new people. Automaton man (Lunacharsky¹), into whose consciousness the ideas of communism and socialism were hammered (S. Eisenstein²). The Soviet dictatorship needed mass thinking and mass society, and it can be said that it eventually succeeded in constructing an even more ideology-driven Soviet man.

The linguistic structure developed by Sergei Eisenstein, Dziga Vertov, Vsevolod Pudovkin, and other Rus-

sian avant-gardists in the 1920s once again changed the way people think. And again, because change, however spontaneous, began at the end of the 19th century, with the screening of the film *The Arrival of the Train on the Boulevard des Capucines*. It was here that audiences first encountered realism, a moving reflection of reality on such a scale that they left the cinema in horror. There was a whole new opportunity to see reality from an outsider's perspective.

In contrast to Soviet man, European cinema formed other forms of mass thinking. In 1936, Walter Benjamin, in his work *The Work of Art in the Age of its Technical Reproduction*, describes a situation where the means of technical reproduction begin to actively replicate and profane existing works of art, (Groys³) changing the process of perception and establishing its new status in society.

Walter Benjamin in his work also highlights the positive and negative sides of this process. On one hand, by replicating a work of art, it transcended localized space and became accessible to the masses. According to Benjamin, with the multiple repetition of a work of art, the magical, unique aura, the atmosphere that accompanied the individual environment and perception, was lost. In the aura Benjamin meant the presence of the audience, the time factor, uniqueness and authenticity. The work of art has lost its exclusivity and individuality. A thing is closely linked to the environment in which it is created, and as soon as this context is lost, the aura disappears. Benjamin's view becomes particularly relevant with the development of computer technology. Many contemporary scholars have noted that the reproduction of a work of art via the Internet and social media leads to the profanation and devaluation of the work of art.

Benjamin distinguishes between two values of a work of art: cult and exhibition. Cult is related to the ritual function of a work of art when it becomes a symbol of worship. Art is increasingly aimed at mass audiences rather than ritualized art. Art is becoming more accessible and the boundaries between reality and its copy are blurring. In essence, Benjamin sees technological prog-

1 Луначарский, О воспитании.

2 Эйзенштейн, Монтаж, 1964.

3 Гройс, Истина, 2016.

ress as a regression of elitist, thinking art forms.

Benjamin criticizes a society that failed to understand the fatal consequences of the process that began with the emergence of cinema and photography, the process of the formation of mass art. Collective contemplation, collective observation of a work of art formed the corresponding forms of thinking.

In the process of the formation of mass society in the 1960s, it was logical to divide culture into elitist and mass art. There were also two main trends in cinema: author's cinema, which created an individual stylistic trace of the author's concept, worldview and picture of the world, where technology (travelling shots, active camera movement, the effect of presence, a riot of trifles) gave authors the opportunity to hone and develop the language system, and mass cinema, oriented towards spectacle, plot development, and the creation of an effective expressive range.

The cinema of the 1960s had such an impact on the development of society that it actively shaped fashion trends, lifestyles and dress styles in society. The influence of visual culture on forms of relationships, etc. is intensified with the emergence of new media technologies and television.

In 1964, Marshall McLuhan's work, *Understanding Media* was published, in which the author argued that new technologies are not just things that people use for simple communication in everyday life. Through them, they invent, create themselves. Television has changed the process of human perception of reality, making it more mosaic and fragmented than before. McLuhan distinguishes between cold and hot forms of media and communication. Cold refers to television, which requires the viewer only to directly receive and assimilate the information presented, and not to analyze it, and hot refers to cinema, which is oriented towards thinking. Cold communications are acceptable to the masses because they create the illusion of presence and participation in

world processes. Therefore, their role in the formation of mass thinking, in creating a global village out of the world is very great. Media communications have, in a way, expanded the scale of our information field, and at the same time have compacted the world, made any information available, but dulled thinking. We can say that McLuhan's ideas are still relevant today, and in the context of social media, the personal space of Facebook allows the user to create his or her ideal virtual self, which has almost nothing in common with the real self.

Advertising occupies an important place in the form of television communication as the main and effective means of shaping life patterns and mass thinking. Advertising, as an organic, integral part of everyday human life, has been contributing to the formation of a new society oriented towards material well-being since the 1960s. In the 1970s, Jean Baudrillard questioned the existence of the real world and suggested that the modern world is the progenitor of the mass media. The world is as it is offered to us by media communications, audiovisual forms that create a modelled reality of the world.

The period of development of postmodern and post-postmodern digital art becomes an indicator of the trends, development, and results of technological progress, which were once discussed by Paul Valéry, Walter Benjamin, José Ortega y Gasset, and other authors. On the one hand, the digitalization of art has brought great narrative possibilities not only to fiction films but also to documentaries, where, by creating a simulated reality, the viewer gets the feeling of being in the past, of the authenticity of reality, and of seeing a chronicle. But on the other hand, art has lost the author's vision and handwriting. Jean Baudrillard's simulacra are also a modelled reality reflected in a mirror, which we believe in more than reality. Behind the image reflected in the mirror is a complete emptiness, a routine existence devoid of emotion, in which needs, desires, and even feelings are controlled by digital art and communication.

REFERENCES:

- Paul Valéry. Thoughts. Tbilisi. 2014
- Jose Ortega Gasset. Revolt of the masses. Tbilisi. 2024
- Walter Benjamin. The Work of Art in the Age of its Technical Reproduction. Tbilisi. 2013

- Marshall McLuhan Understanding Media The extensions of man London and New York chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://designopendata.wordpress.com/wp-content/uploads/2014/05/understanding-media-mcluhan.pdf
- Lunacharsky Anatoly On Education of a Man of the New Society <http://lunacharsky.newgod.su/articles/o-vospitanii-cheloveka-novogo-obshchestva/>
- Eisenstein Sergey. Installation of attractions <http://az.lib.ru/>
- Groys Boris : The Truth of Art-<https://s357a.blogspot.com/2016/03/blog-post.html>